თვენი გადაწყვეტილება №7141532 პასუხად გაცნობებთ :

1. განახლებული დოკუმენტაციის მიხედვით, +21.3 ნიშნულზე, "D ღერძის მიმდებარედ გათვალისწინებულია შენობის ორ ნაწილად გაყოფა სეისმური ნაკერის საშუალებით. განმარტებულ იქნას და შესაბამისად აისახოს საპროექტო დოკუმენტაციაში და მშენებლობის ორგანიზების პროექტში.

1. შენიშვნა მიღებულია. +21.300 და -+24.700 ნიშნულზე მდებარე საპროექტო ნაკერი, ასევე ვერტიკალურ კედლებზე მდებარე ნაკერები ასახულია როგორც არქიტექტურულ ნახაზებში ასევე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტშიც.

2.წარმოდგენილ იქნეს, განშლაზე 104-ით მონიშნული კედლის ფოტოები მეზობლისმხრიდან, რომლითაც დასტურდება რომ მიწითაა დაფარული

2. შენიშვნა მიღებულია და წარმოდგენილია შესაბამისი ფოტოები. სამწუხაროდ შეუძლებელია ისეთი ფოტოების გადაღება,რომლებიც უფრო ნათლად წარმოჩენს არსებულ სიტუაციას. ამიტომ, თუ თვენ მიგაჩნიათ, რომ წარმოდგენილი ფოტომასალა არ არის საკმარისი, ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ პრობლემის გადაჭრის ორი ვარიანტი:

ა. თქვენი წარმომადგენელი მობრძანდეს და ადგილზე გაეცნოს ვითარებას.

ან

ბ. წარმოგიდგენთ კვალიფიციური გეოდეზისტის მიერ მეზობლის ეზოსა და ჩვენი გადახურვის ფილის ნიშნულებს ანაზომს.


3 მ²
07.24.2024


საყრდენი კედლის სიმაღლე შეესაბამება მეზობლის ნაგებობის სიმაღლეს
რომელიც დაფიქსირებულია წითელი ისრით
3 მ²
07.24.2024


07.24.2024


07.24.2024



3. მიწისპირა სართულის განსაზღვრის მიზნით, ფასადების განშლებზე დატანილი იქნეს ღერძები და ღერძებს შორის მანძილები; გაითვალისწინეთ, მომიჯნავე შენობასთან არსებული კედელი არ წარმოადგენს მიწისქვეშას (აღნიშნულის განახლების შემდგომ ქაქლქთმშენებლობით პარამეტრბთან დაკავშირებით გეცნობებათ დამატებით);

3. შნიშვნა მიღებულია და შესაბამისი მოთხოვნები გათვალისწინებულია.

4. ჭრილები და გეგმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში (მაგ: ჭრილი 1-1 +11.30 ნიშნული 5-6 ღერძებში ნაჩვენებია პერგოლა; +14.6 ნიშნულზე პერგოლას საყრდენები ჭრილზე და გეგმაზე 5-6 ღერძებში შეუსაბამოა; ჭრილი 2-2 +21 ნიშნული არ ჩანს კარი და არა მარტო.....)

4. შენიშვნა მიღებულია და გათვალისწინებულია.

5. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. ->

.გეგმების pdf ფაილი

5. შენიშვნა მიღებულია. ყველა გეგმა წარმოდგენილია მასშტაბით 1:100.

-ორი ბლოკის დამაკავშირებელი გვირაბი და კიბე "1" ღერძის მიმდებარედ,

დაანგარიშებული იქნეს ცალკე, კ-1- ში ნამატ მიწის ნაკვეთთან მიმართებით;

- წარმოდგენილ პროექტში ორი ბლოკის დამაკავშირებელი გვირაბი და კიბე ''1'' ღერძის მიმდებარედ კ1 კოეფიციენტში დაანგარიშებული არ არის. მათ დავიანგარიშებთ ნამატი მიწის ნაკვეთის კ1 კოეფიციენტში.

- +24.79 ნიშნულზე დამატებულ მოცულობაზე მითითებულია, რომ წარმოადგენს არაექსპლუატირებად ფართს, თუმცა რენდერების მიხედვით მოცემულ ფართზე ხდება კარით გასვლა, ასევე წარმოადგენს მოაჯირით შემოკავებულ სივრცეს. საჭიროა გაკეთდეს შესაბამისი განმარტება. გარდა ამისა ფოტოსურათების მიხედვით მოცემული ნაწილიუკვე აშენებულია და წარმოადგენს ექსპლუატირებად სივრცეს, აღნიშნულიც განიმარტოს.

- დიახ, აღნიშნული ფართი იქნება არაექსპლუარიბადი და „იმუშავებს“ მხოლოდ როგორც გადახურვა. დიახ,მოწყობილია კარი იმისთვის რომ პერსონალი გამოვიდეს არაექსპლუატირებად სახურავზე.ასევე მოწყობილია მოაჯირი უსაფთხოების მიზნით. დიახ, ფოტოსურათებზე აღნიშნული სივცე გამოიყურება როგორც ექსპლუადირებადი, მაგრამ სამეზობლო მიჯნების დაცვის მიზეზით აღნიშნული ზონა გახდება არაესპლუატირებადი.

-+24.70 ნიშნულზე 6 და D-E ღერძების კვეთაში გაჩენილია დამატებით ფართი,

დაზუსტდეს და დატანილ იქნეს ფუნქცია და ფართი.

- აღნიშნული ადგილი არ წარმოადგენს დამატებით ფართობს. შეთანხმებულ პროექტში ეს ზონა შემოსაზღრულია კედლებით და შედის კ2 კოეფიციენტში, ხოლო წარმოდგენილ პროექტში მოეწყობა საზაფხულო ფართობი. იხ. ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟები.

- ნახაზზე მითითებულია „მეზობლის მიერ ჩამოშლილი გრუნტის შრის აღდგენა“, საჭიროა მოცემულ ნაწილში წარმოდგენილ იქნეს არსებული გეგმა და განიმარტოს რა იგულისხმება.

- მეზობელმა ნაწილობრივ დააზიანა ჩვენ საკადასტრო საზღვრებს შორის არსებული რელიეფი და გრუნტის შრე და გადახურვის ნიშნულზე სახურავით შემოიჭრა ჩვენ საკადასტრო საზღვრებში. იხილეთ ფოტო და ნახაზი :


მეზობლის სახურავი შემოჭრილია ჩვენ საკადასტრო საზღვრებში
მეზობლისა და ჩვენი საკადასტრო საზღვრის მიჯნაზე აღდგება საყრდენი კედელი, ხოლო წარმოქნილი ღიობი შეივსება გრუნტით
საკადასტრო საზღვარი



6.სეისმური ნაკერით გამიჯნულ ბლოკებს შორის საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს წარმოსახვითი მიჯნები;

6. წარმოსახვითი მიჯნები დაცულია თუმცა +24.700 ნიშნულზე წარმოსახვითი მიჯნის გასწრივ მოწყობილია სამეურნეო ყრუ კარი.

7.სწორად იქნეს დათვლილი კოეფიციენტები.(მაგ: +31 ნიშნულზე კიბის უჯრედი არ არის შეყვანილი კ2-ში, კ1 და კ2 კოეფიციენტები სხვადასხვა ნიშნულზე არის დათვლილი; კ1-ში არ არის შეყვანილი 21.30 ნიშნულზე არსებული ფილა, და ა.შ)

7. +31.550 ნიშნულზე კიბის უჯრედის სიმაღლე არ აღემატება 1.4 მ^2 შესაბამისად ის კ2 დაანგარიშებული არ არის.

- თუ შეიძლება დააკონკრეტეთ სად არის დათვლილი კ1 და კ2 კოეფიციენტები სხვადასხვა ნიშნულზე. ჩვენი ინფორმაციით ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე კ1 და კ2 კოეფიციენტები დათვლილია +0.000 და +24.700 ნიშნულებზე.

- +21.300 ნიშნულზე არსებული ფილა კ1 კოეფიციენტში შეყვანილი არ არის იმიტომ ,რომ კ1 კოეფიციენტის დაანგარიშება ხდება +24.700 ნიშნულიდან. ამასთან ერთად თვენს მიერ აღნიშნული ფილა უკვე დაანგარიშებულია +0.000 ნიშნულზე.